ეროვნული ბიბლიოთეკა

...თი, ივლისის 19 1919 წ

ფასი 1 მ. 50 კ.

№ [illegible]

# ჩვენი ქვეყანა

წლიწადი მესამე.

რედაქცია

**სამაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და სალამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და სალამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

...რთველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

## ...ლის მომწერთა საყურადღებოთ

...ებთ როგორც ქუთაისის, ისე პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღე... ...რომ ჩვენი გაზეთი 10 ივლისის შემდეგ აღარ მიუვათ იმ პირთ, რომელ... ...ზეთის დასაკვეთი ფული გადახდილი არა აქვთ. პროვინციის ხელის მომ... ...ს შეუძლიათ ფული გამოგზავნონ გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის სა... ...ვისაც 10 ივლისს გაზეთის ფასი სრულიად გადახდილი არ ექნება, მას ...თის გზავნა შეუწყდება და ფულის ასაღებათ ზომები იქნება მიღებული.

---

...მობლები: ზაქარია იგივე პეპიკო და ანნა დიმიტრის ასული ვარდანა... ...ილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ...ომ კვირას 20 ივლისს დილის 10 ნახ. საათზე გადახდილი იქნება ...უთაისში გოჭოურის სასაფლაოს ეკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი ...საყვარელი შვილის კლასიკური გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის

## ...მალვა პარდანაშვილის

...ლის მოსახსენიებლად, რომელმაც თავი შესწირა სამშობლოს და გმი...ულად დაიღუპა სარხერის ფრონტზე 7 ივლისს ძველი სტილით 1918 წ.

1—1.

---

## ...ტივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ.

...ში, ჩემს სავაჭროში, იყიდება გოგირდი ვენახებისათვის. მსურველს — შეუ... ...იიდოს ხელ მისაწდომ ფასებში. იქვე იყიდება ბორჯომის წყალი: ყუთობით 260 მანეთად, ბოთლობით თითო ხუთ მანეთად.

...2. **დავით ქებაძე.**

---

...ლის ქვანახშირის მაღაროების გამგეობა აცხადებს რომ მას აქვს

## ...რის საწვავი ქარხნები.

...ესო ხარისხის ქვაკირი ვაგონში ჩაჭვირთული ტყიბულში იყიდება ფუთი 10 ...დ, ფხვნილი კი — 5 მანეთად. მსურველს შეუძლია მიმართოს ტყიბულში მა...ოების კანტორას, თბილისში — გრიბოედოვის ქუჩაზე № 6 ინჟენერს. ა. ცი...ლს, ქუთაისში — ივანოვის ქუჩაზე № 38 გიორგი რევაზის ძე რონიშვილს.

**ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების გამგეობა.**

---

## ...ექიმი ბოკერიას

...ურგიული და ქალთა სნეულების ...მყოფში სამშობიარო განყოფი... ...ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) ...ბა განახლდა და ავათმყოფების მი...ღებაც სწარმოებს.

---

## ...ქიმი მ. ე. ნემსაძე

...ობს შინაგან და ვენერიულ სნეუ...ნ ავადმყოფთ. (609 და 914 შემ...ბა) ყოველ დღე დილის 9—12 და 5—7-მდე. თბილისის ქუჩა. მხეიძის ...არეშელაშვილის აფთიაქის თავზე.

---

## ...ნი თვითმართველობანი.

...ოლუციის „მონაპოვართა“ შორის, ...დღევანდელი ცხოვრების მეს...ი უპირველეს მნიშვნელობის როლს ...ლო თვითმართველობების (ერობები) შემოღებას და ქალაქის საბჭოების გადემოკრატებას აკუთნებენ.

წინად, ძველი რეჟიმის ხანაში, ყველა არსებული პოლიტიკური პარტიები, როგორც საქმით აგრეთვე სიტყვით, თავგამოდებით იბრძოდენ ზემოხსენებულ, საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებისათვის, უსაჭიროეს ინსტიტუტის, სასოფლო და საქალაქო თვითმართველობათა შემოღებისათვის.

რაც ადრე სანატრელ საგანს შეადგენდა დღეს უკვე განხორციელებული გვაქვს.

საქართველოში 16 სამაზრო მუნიციპალიტეტი და მრავალი წვრილი, სათემო, თვითმართველობა მოგვეპოვება.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამიერიდან, ჩვენ ჩამორჩენილი და გაღატაკებული სასოფლო და სამოქალაქო ცხოვრება, ეკონომიურათ და კულტურულათ, ამაღლდებოდა და გაღონიერდებოდა.

სამწუხაროთ მოლოდინი არ გაგვიმართლდა და ხსენებული დაწესებულებანი თავის დანიშნულების სიმაღლეზე ვერ დადგენ.

ჩვენ აქ არ შეუდგებით აღნუსხვას ყველა იმ დეფექტებისას დღევანდელ ჩვენ თვითმართველობათა ორგანიულ თვისებათ რომ გადაქცეულა.

უპირველესათ ყოვლისა ის არის აღსანიშნავი, რომ ახლათ აღმოცენებული ერობათა და ქალაქთა კავშირისა და სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებთა შორის უთანხმოება უკვე დაიწყო უფლებრივ ნიადაგზე, სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი ხასიათის ფუნქციების მითვისების გამო თვითმართველობათა მხრივ.

საქმე იქამდი მივიდა, რომ ერობებმა და ქალაქებმა გამოაცხადეს პრეტენზია თითქმის ყველა სახელმწიფოებრივ ფუნქციებზე. ... ადმინისტრაციის მოწყობას, განათლების, სამართლის, მეურნეობის და ჯანმთელობის საქმის მოწესრიგებას და გაძღოლას, აგრეთვე გადასახადების გაწერას.

საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ამას ჩადის თვითეული ერობა ცალკე.

ამნაირათ ცენტრალური სახელმწიფოებრივი ძალა რჩება უშინაარსოთ, ფორმათ უმეტესათ მას ერთმევა უზენაესობა, მისი კომპეტენცია სხვა და სხვა სფეროებში ვიწროვდება და ლამის სავსებით გაქრეს.

ეს კი სახელმწიფოს მთლიანობის დაშლას მოასწავებს, რაც ყველა უბედურებაზე უფრო დიდ უბედურებათ უნდა ჩაითვალოს.

დღევანდელი საქართველო ამნაირი წესის გამოისობით წარმოადგენს, ძველათ რომ ყოფილა, იმაზე უფრო დაქსაქსულ და დანაწილებულ ქვეყანას, სადაც თექვსმეტზე მეტი „სამთავროა“ და თვითეული მათგანი წარმოადგენს განცალკევებულ „სამეფოს“ საკუთარი ტამოჟნით და ბიუჯეტით, საკუთარი ეკონომიური ცხოვრებით, სამართლით და ადმინისტრატიული მართვა გამგეობით.

ამ უსაშინელეს მდგომარეობას ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით ჩვენ ბედშავ ქვეყნისათვის.

საქმის გამოსაბრუნებლათ საჭიროა ეხლავე მიღება სასწრაფო ზომების, რათა სასტიკათ განსაზღვრულ იქნეს უფლება-მოვალეობანი და კომპეტენცია ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოთა და თვით მართველობათა შორის, ისე რომ სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს ფართე უფლებები საზოგადოებრივი ცხოვრების მართვა-გამგეობის საქმეში; თვითმართველობას კი მიენდოს ზრუნვა და გაძღოლა მისთანა საქმეებზე, რაზედაც ზრუნვა და რომლის გაძღოლა-მას აბარია ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში.

უამისოთ ჩვენ ვერ შევძლებთ მტკიცე საფუძვლის მქონე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის შექმნას.

**ალ. თორაძე.**

---

## ფრონტის დღე.

დღეს და ხვალ ქართველი ერი იმ მეომართა პატივცემათ, რომელთაც სიცოცხლე განმზადებული აქვთ სამშობლოს სასხვერპლოზე ზვარაკათ მისატანათ, ფრონტის დღეს იდღესასწაულებს.

საქართველოს სუვერენობა, ეროვნული თავისუფლება ვერასოდეს ხორცს ვერ შეისხამდა, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ქაღალდზე დაწერილი დარჩებოდა, რომ ჩვენს მხედრობას რკინითა და სისხლით ჩვენი განაღდებული ეროვნული მისწრაფებანი არ დაეცვა.

და არ იბადება ისე, როგორც იუპიტერი ძევსის თავიდან, თავისუფლება ბრძოლითა და სიცოცხლის შეწირვით მოიპოვება. მეორე წელიწადია, რაც საქართველო დამოუკიდებლობას ეზიარა, ამ ხნის განმავლობაში საქართველოს სხეული მრავალჯერ დაისერა სხვა და სხვა ფრონტებით.

საქართველოს სახე ომის ცეცხლში გაიწმინდა და გამშვენიერდა. ხშირათ ისეთი პოლიტიკური კონიუნკტურა იქმნებოდა, რომ მძიმე და საბედისწერო იყო საქართველოს მდგომარეობა, ეროვნული პესიმიზმი მდიდარ ნიადაგს ჰპოებდა ქართველი მოქალაქის გულში, მაგრამ ქართველი მხედრობის სიმტკიცე და თავგანწირვა მალე ფანტავდა ეჭვების ღრუბლებს.

ჩვენ გვახსოვს ბათომის სირცხვილი, ეს ტრაგედია მაშინ მოხდა, როდესაც ჯარის ზურგში ყველაფერი თავის რიგზე არ იყო და რა გასაკვირველია, რომ არც საომარ ფრონტზე იქნებოდა სრული შეგნება თავის მოვალეობისა, გათვალისწინება დამარცხების მძიმე შედეგების.

ქართველმა ჯარმა გამოისყიდა მრავალ ფრონტებზე ბრწყინვალე გამარჯვებებით ეს დანაშაული, რომელშიც მას იმდენი წილი უდევს, რამდენიც თითოეულს ჩვენთაგანს.

ბრძოლით გვიხდებოდა თითოეული ჩვენი კანონიერი უფლების დაცვა, ზევრისთვის სამართლიანობის პრინციპით დასაბუთება ჩვენი უფლებების უქმი და უნაყოფო იყო და შემდეგ რკინითა და სისხლით ვცდილობდით ჩვენი პოზიციის გამართლებას. სომხეთის ომმა რომელიც ჩვენი სამხედრო გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ქვეყნის ხელის უფლებმა დიპლომატიური დამარცხებით დააგვირგვინეს, სრულიად გამოამჟღავნა ჩვენი მილიტარული ენერგიის სიძლიერე და ეროვნუ-

ლი შეგნება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იჭედებოდა.

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ მაშინ იქნება ყოველმხრივ უზრუნველ-ყოფილი, როდესაც ორგანიზაციითა და დისციპლინით ძლიერი ჯარი გვეყოლება.

დღეს იმ ჯარს, რომელიც ფრონტზე იმყოფება თანაგრძნობისა და სიყვარულის გამოცხადება უნდა, ფრონტმა უნდა იგრძნოს, რომ ერი მის მაჯისცემას ყურს უგდებს, რომ ზურგი ფრონტის სიცოცხლით ცოცხლობს.

დღეს და ხვალ ქართველი საზოგადოება, ქართველი ერი ზნეობრივათ და მატერიალურათ დააჯილდოებს ფრონტს. თითოეული მოქალაქე ვალდებულია ამ საერთო დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს.

## რუსი მოღვაწენი რუსეთის მომავალზედ

რამდენიმე დღის წინათ ბათომში ჩამოსულა, სტამბოლიდან რუსეთში მიმავალი, რუსთა ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი და მოსკოვის გაზეთ „უტრო როსიის“ რედაქტორი ბ-ნი ი. პოპლავსკი, რომელსაც ფრიად საყურადღებო საუბარი ჰქონია რუს მწერალ ი. ლვოვთან, ბ-ნ პოპლავსკის სხვათა შორის უთქვამს.

„რამდენათაც შესაძლოა, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ სტამბოლის ცნობებით, მდგომარეობა ამ ჟამად რთულია და ძლიერ დახლართული.

ამ ომის დასასრულს, საფრანგეთი, როგორც განყენებული დარჩა.

ინგლისს, რასაკვირველია, რუსეთი საომე დახმარებას სჭირდება აქვს: ყმეფერში ძალიან ბევრს სჩადის მხოლოდ რეკლამისთვის, წინააღმდეგი არ იქნება, რომ დახმარება გაგვიწიოს და, შესაძლოა, რომ დიდი ფულიც დახარჯოს.

მაგრამ საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ მოკავშირეებს არა აქვთ შიში, რომ მათს სახელმწიფოში ბოლშევიზმმა ფეხი მოიკიდოს და ამიტომ რუსეთის მდგომარეობას, ისინი გულგრილად შესცქერიან, მოსკოვში ჩვენ მაინც შევალთ შემოდგომის მიწურულში, ოქტომბერში ან სულ აღარ შევალთ—სთქვა ბ-ნმა პოპლავსკიმ.

მოსკოვში ჩასვლისას, ჩვენ შევუდგებით აღმშენებლობით მუშაობას, თუ რუსეთის სახელმწიფოსას არა, მოსკოვის სახელმწიფოსას მაინც.

ასეთმა დამწუხრებულმა და ანტანტით უკმაყოფილო სახეებმა უკვე დაიწყეს გამოჭვრეტა რუსეთის მოღვაწეთა სიტყვებში.

სჩანს, ბევრს არ უმართლდებათ ის ოცნებები, რომელიც აცლარუნებდა მათს იარაღს უკანასკნელ ხანებში...

„საქ.“

## ინგლისელთა წასვლა კავკასიიდან და ჩრდილო რუსეთიდან

რეიტერის ცნობით, ბრიტანეთის ჯარმა ჩრდილო რუსეთიდან გასვლა უკვე დაიწყო. ჩქარა იქ სრულიად აღარ იქნება ბრიტანეთის ჯარი გარდა მოხალისეთა რაზმებისა.

ბრიტანეთის ჯარი გავა აგრეთვე კავკასიიდანაც. ხაზგასმით ნათქვამია რომ მთავრობას ამ ოლქების ევაკუაცია დიდი ხნის აზრადა ჰქონდა.

## გერმანული პრესა.

(საქ. დეპ. სააგენტო)

**საბერძნეთის მეფე და ვენიზილოსი**

მეფე კონსტანტინე ლიუცერნის ერთ ერთ სასტუმროში სცხოვრობს, მას იმედი აქვს, რომ ნოემბრის არჩევნებზე ის ტახტს დაიბრუნებს. ამერიკულ ჟურნალისტთან საუბრის დროს განაცხადა: „რა საკვირველია, მოსალოდნელია არჩევანი ჩემსა და ვენიზელოსის შორის. პოპულიარული პიროვნება გახდა. შესაძლებელია, რომ არჩევნები კანონიერად არ მოხდეს. ჩემთვის ეს სულ ერთია, მაგრამ მე მსურს, რომ ჩემმა ხალხმა თავისუფალი არჩევანი მოახდინოს „თქვენ რას იტყვით მეფის მოვალეობათა შესახებ? თუ თქვენ ამ სიტყვაში მონარქიას ჰგულისხმოთ ამ მხრივ საქმე გათავებულია. მე არას დროს არა მწამდა მირონ ცხებულის უფლებები, მაგრამ რაც შეეხება დემოკრატიას, მე ვიცი ისეთი სამეფოები, რომლებიც უფრო დემოკრატიულია, ვიდრე შეერთებული შტატები“. შემდეგ განიმეორა, რომ მან ზურგი შეაქცია გერმანოფილობას. დიდ სახელმწიფოსთან ერთად ომში ჩარეული მცირე ერები მეტად ზარალდებიან. მეფე კონსტანტინე სასტუმროში სცხოვრობს და თან ახლავს 50 კაცისაგან შემდგარი ამალა, სეირნობის დროს მას თან სდევენ შვეიცარიის საიდუმლო აგენტები, რომლებმაც იციან, თუ ვისა ხვდება მეფე კონსტანტინე, ამერიკელ კორესპოდენტს, როცა მარტო იყო, ცუდად გამოიყურებოდა და ძველი ტანისამოსი ეცვა. დედოფალი იქ არ იყო. კონსტანტინემ ბერძნულ ენის ცოდნა გამოიყენა და იმაზე ზრუნავდა, რომ გაზეთებს აგიტაცია გაეწიათ მის სასარგებლოდ ამომრჩეველია.

**როდის აეხსნება გერმანიას ბლოკადა**

რეიტერის სააგენტო ოფიციალურად აუწყეს, რომ როგორც კი პარიზში მიიღებენ გერმანიის მიერ საზავო ხელშეკრულებას რატიფიკაციის დამადასტურებელ საბუთებს მიიღებენ მოკავშირენი დაუყოვნებლივ ახსნიან გერმანიის ბლოკადას. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი სავაჭრო შეზღუდვანი მოსპობილი იქნება.

**ბულგარეთის დანაწილება**

პარიზიდან იუწყებია: „ჟურნალ“-ი ამბობს, საზავო ხელშეკრულების ძალით, ბულგარეთმა დასავლეთის ფრაკია ოსმალეთს უნდა დაუთმოს, ხოლო... (გაუგებარია) სერბიას რუმინია უთმობს დობრუჯას, გარდა ხიდის სიმაგრისას სოლისტრიაში... (გამოტოვებულია) ბულგარეთის წარმომადგენლები დაახლოვებით ივლისის 25 უნდა ჩამოვიდნენ ენგინში.

## აფეთქება ტრაპიზონში.

გასულ კვირას, ქ. ტრაპიზონში მოხდა დიდი აფეთქება წამლისა, რომელიც დარჩენილიყო რუსების წამოსვლისა და 1918 წლის აფეთქების შემდეგ. ახალ აფეთქებამ თვისი შედეგებით გადაამეტა 1918 წლის აფეთქებას. მისი ხმა ბათუმშიც კი გაიგონეს. ტრაპიზონში არ დარჩენილა არც ერთი მუშა; ადამიანთა მსხვერპლი 100 კაცს აღემატება. ამბობენ, რომ ეს აფეთქება მოწყობილი იყო ოსმალებისაგან მოხალისეთა არმიის, იმ პრეტენზიებისა გამო, რომელსაც იგი აცხადებდა ამ საწყობებზედ.

## ბ ა თ ო მ ი.

**ნავთსადგურზე.** ბათუმის ნავთსადგური ამ ჟამად მეტად გამოცოცხლებულია, ყოველ დღე მიდი მოდიან გემები, ნოვოროსიისკში, კონსტანტინოპოლში, ოსმალეთის ნავთსადგურებში და სხვა ქალაქებში. ასე გასინჯეთ, ზოგიერთი ვაჭარი საბჭოთა ქალაქებშიაც კი ჰბედავენ საქონლის შეტანას.

ამ ჟამად იტალიის ერთ ზე-დრედნოუტის გარდა („დუკლიო“) ჩამოვიდა იტალიის ერთი ნაღმოსანიც.

„დუკლიოზე“ ამ დღეებში ნადიმი გადაიხადეს, რომელსაც დაესწრნენ ინგლისელები, ფრანგები, ადგილობრივი რუსები და ქართველთაგან ბ-ნი ჭავჭავაძე.

**ფულით სპეკულიაცია.** ერთის მხრით ვაჭრების დიდი შოვნებით, მეორეს მხრით უცხო ფულის სპეკულიაციით ადგილობრივ სანოვაგეზე ფასებმა მეტად იმატეს. თუ სადმე ფულით ვაჭრობა არის განვითარებული, ბათუმი ალბად იმას არაფრით არ დაუვარდება, რა ფული გინდათ რომ აქ არ შეგხვდეთ. ფულით ხავაჭროს ბუდე აქ ზღვის ნაპირა (ნაბერეჟნაია) ქუჩაზე გამართული კაფეა. აქ ხალხის თვალწინ ითვლიან ნიკოლოზისა და კერენსკის ათასიანებს, ერთ მხარეს აღაგებენ, მშიერ ხალხს თვალებს უბრეცენ და ამით ყაჩაღობას სჩვითარებენ:

ამ ბოლო ხანებში თბილისიდან მოსული ცნობების გამო უცხო ფულის კურსი მეტად დაეცა. კავკასიის ვალიუტა მაღლა იწევს.

**ს ძ ვ ი რ ე.** ბათუმში ცხოვრება ამ ზემო ჩამოთვლილი მიზეზებისა გამო მეტად გაძვირდა. მიუხედავად ფულის კურსის აწევისა ცხოვრება ისევ ისეთივე სისწრაფით ძვირდება.

თბილისიდან ჩამოსულთ პირდაპირ მონტე კარლოში იგრძნობს თავს სიძვირის მხრივ. ამ რამოდენიმე ხნის წინად პური სულ 3 მანეთად ღირდა და ეხლა კი 9 მანეთადა ღირს. ბარათებით იძლევიან ძალიან ცუდ შავ პურს. სულ უბრალო სასადილოში თითო სადილი კაცს დაუჯდება 90 მანეთი ხოლო თუ გაჰბედა და ასე თუ ისე კარგ სასადილოში, მაგალითად ბულვარზე, 90 მანეთად ღირს ორი თავი სადილი.

სხვა საქონელი კი პირდაპირ წარმოუდგენელია მიუხედავათ იმისა რომ მრავალია. ინგლისელებმაც ბოლო დროს დაიწყეს მანუფაქტურული ნაწარმოების მოხელეთათვის დარიგება.

**ძარცვა გლეჯა.** ერთის მხრით ღარიბი მოხელეობა და მეორეს მხრით რამდენიმე მილიონების შეძლე სპეკულიანტები აი სურათი დღევანდელი ბათუმისა. სიძვირემ ხალხს დაუკარგა სინდისი და შიმშილმა ბათუმი ძარცვა გლეჯის ბუდედ გადააქცია.

იმ კლუბის გაძარცვის შემდეგ, რომლის შესახებ „საქართველოში“ ცნობა უკვე იყო, აქ ფრიად დიდი ძარცვამოხდა. ამ დღეებში „მახინჯაურში“ თავს დაესხენ ორ კაცს და 50 000 მანეთი წაართვეს. ადმინისტრაცია სრულიად უსუსურია, რადგან ადგილობრივნი გულით ვერ ეკიდებიან საქმეს, უცხო ბატონების შემყურე ინგლისელთა მილიცია კი ვერ იჩენს სათანადო ფხას.

## ოსმალეთის ბედი.

ბერძნულ გაზეთ „ეტნას“ ცნობით ოსმალეთის საკითხის გადასაჭრელად საზავო კონფერენციას ორნაირი პროექტი აქვს. პირველი პროექტით აზიური და ევროპიული ოსმალეთი ოთხ სახელმწიფოს შორის უნდა განაწილდეს, ხოლო მეორე პროექტით კი ახალ ოსმალეთს უნდა

დაენიშნოს მხოლოდ ერთი პროტ...
სამ სახელმწიფოთაგან — ან ინგლი...
ამერიკა ან საფრანგეთი. ...
საფრანგეთი. ამ ცნობით ერთი
ოსმალეთი თავის თავს აღარ მიეკუ...

## ახალი ამბავი

**ქ უ თ ა ი**

**გემის გაძარცვა და 60 მილიო...**
**ტაცება.** როგორც სარწმუნო წ...
ბიდან შევიტყვეთ: ბათომიდან სტა...
მიმავალი გემი „კონსტანტინე“ ...
საც მიჰქონდა 60 მილიონი საქ...
ლოს კომერსანტებისა ოსმალეთის
სანაპიროებთან გაძარცვეს. წაიღ...
მილიონი მთლად.

რადიოს საშუალებით დაიჭირე...
დენიმე თავდამსხმელი და მათ ...
40 მილიონი. გამოძიებას აწარმო...
გლისის გენერალ გუბერნატორი.

✦ **იტალიის ჯარის უკან გაბრ...**
ბათომში ხმა გავრცელდა, რომ ...
ისკენ მომავალი იტალიის ჯარი ს...
ლიდან უკან გაბრუნდა, მიზეზად
ასახელებენ რომ იტალიაში არ...
ბაა.

✦ **ინგლისის ჯარის მიმოსვლ...**
თომში ინგლისელების ახალი რაზ...
ვიდა.

✦ **ქართული ლეგიონი ლეო...**
**სელიძის სარდლობით** ამ ჟამად
რგეთში სდგას.

✦ კვირას, 20 ივლისს ქალაქ...
ში გაიმართება დიდი სახალხო სე...
„ლატარია ალეგრით“, რომლის
შემოსავალი გადაეცემა ქუთაისის
ხო უნივერსიტეტს, პროფესიონ...
... ცენტრალურ საბჭოს და...
ქალთა ორგანიზაციას.

✦ **ფრონტის დღე.** დღეს 19 ...
საღამოს 7 საათზე ქუთაისის ქა...
თვითმართველობის დარბაზში და...
ლია ქუთაისში ფრონტის დღის მო...
კომისიის სხდომა. ამ სხდომამ უნ...
მოიმუშაოს გეგმა ადგილობრივათ
ნტის დღის გამართვისა.

✦ **ქალალდი.** როგორც ბათო...
ჩამოსულებმა გადმოგვცეს კონსტა...
პოლიდან მოსულა დიდძალი ქაღ...
მაგრამ ეს ქალალდი ქაბოელ კაპიტ...
ტებისათვის მიუყიდიათ.

✦ **საღამო.** დღეს, 19 ივლისს,
ნინოს ქალთა სასწავლებელში გაიმა...
საღამო.

✦ **ბათომში.** 13 ივლისს ნოვ...
სიიდან მოვიდა ინგლისელთა დრედ...
ტი, იტალიელთა დრედნოუტი პ...
ლან ზღვაში გავიდა.

✦ **დამფუძნებელი კრების და...**
**ბითი არჩევნები** იმ ადგილებში ს...
არ მომხდარა, დანიშნულია 10 ...
ტოსათვის. ცენტრალურმა კომისია...
სტრუქტორები უკვე დაგზავნა.

✦ **ებრაული მთავრობა პალე...**
**ნაში:** ბოლშევიკური ცნობების თან...
პალესტინაში ინგლისელთა პროტ...
რობის ქვეშ შესდგა ებრაული მთავრ...
პალესტინის მთავრობის წარმომადგენ...
ბი ჟაბოტინსკისა და მადელშაბის მე...
რობით პარიზში იმყოფება.

✦ კვირას, 20 ივლისს დილის ...
ათზე ქუთაისის მეორე ვაჟთა გიმნ...
(ყოფილი სათავად აზნაურო) შენო...
დანიშნულია წყალგალმა უბნის მცხო...
ბთა საზოგადო კრება. კრებაზე არჩ...
იქმნებიან წყალგალმა მეორე უ...
შემოსავალზე გადასახადის გამგე სა...
ბულოს წევრები, საჭიროა კრებას დ...
წროს ყოველი მოქალაქე, მცხოვრე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...გალმა უბანში, რათა არჩეულ იქ-
გამოცდილნი და საქმისათვის გა-
...დეგნი პირნი.

...ხაღ. ნატანები ივლისის 16—ს
...ამდენიმე სომეხს დაუჭირეს სხვა და
...სახის საქონელი, რომელსაც ბათო-
...ნ კონტრაბანდით მიეზიდებოდენ.

...ქრისტინე სინემატოგრაფში ივლი-
...13 ს ქ. გორში სინემატოგრაფში
...ეს „ქრისტინე" გერმანე გოგიტი-
...იერ გადაღებული სურათები კარგ
...ქმდილებას სტოვებს მაყურებლებზე.

...ოზურგეთში უკანასკნელ დროს
...ის სოფლებში ძლიერ სიცხეები
...ირა.

...ლენ. ართმელაძე ოზურგეთში.
...ვლეთ საქართველოს ჯარების სარ-
...ი ლენ. გიორგი ართმელიძე ამ ჟამად
...ლოზს ოზურგეთში მყოფ ჯარებს.

...ოფიცრების ჯამაგირები. ოფიც-
...ს ჯამაგირების მომატების შესახებ
...ნ-პროექტის განხილვას დამფუძნებე
...კრება უკვე შეუდგა.

...ქურდობა. 3 და 4 ივლისს ბო-
...მოქმედებმა გაცარცვეს პირველი
...ტილერიო ბრიგადის ბარგ-საწყობი,
...ანაც გაიტანეს სხვა და სხვა ნივთე-
...რაიც ჯერ კიდევ გამოურკვეველია.
...ო დაპატიმრებული არიან მეორე დი-
...ს სამმართველოს ჯარის კაცები:
...ტო და ძმა მისი ქრისტეფორე ნეს-
...ის ძე ობოლაძეები, გიორგი კუპრა-
...ი და კაპიტონ ბერია. ბარგ-საწყო-
...ამგის პორუჩიკ ჯაფარიძის გადმო-
...ო, ისინი გადასულან სახურავიდან.

## ...რტიული ცხოვრება.

...შაბათს 15 ივლისს წმ. ნინოს
...ა სასწავლებლის დარბაზში შედგა
...ნულ-დემოკრატიული პარტიის წევ-
...და თანამოაზრეთა კრება.

...ების მიზანი იყო: პარტიული მესა-
...ონფერენციის მუშაობა.

...ს შესახებ მოხსენება გააკეთა ბ.
...სანდრე თორაძემ. იგი ვრცლად
...ი ყველა იმ საკითხებს, რომელიც
...ერენციაზე იყო დასმული და გა-
...ული.

...რტიის წევრების განსაკუთრებული
...დღება მიიპყრო იმ ადგილმა მო-
...ზისამ, სადაც მომხსენებელი შეეხო
...თველოში არსებულ არასოციალისტ
...კრატიულ პარტიათა გაერთიანებას.
...ლ ორი წლის განმავლობაში ეროვ-
...ემოკრატიული პარტიას რამდენიმე
...თულება გამოეყო და ხელი მიჰყვეს
...ე პარტიულ ცხოვრებას.

...ლო ხანებში საკითხი ლაიბადა,
...ანაც ამ არა სოციალისტურ მიმარ-
...ებათა შორის დიდი პრინციპიალუ-
...ანსხვავება არ არის,—მომხდარიო
...იანება და შეკავშირებული ძალით
...ედათ სამშობლოს საკეთილდღე-

...ნფერენციაზე დელეგატების ყურა-
...ა მიიპყრო ამ საკითხმა და ყველამ
...ლი გამოსთქვა რომ არა სოცია-
...ურ პარტიათა შორის მოხდეს
...არი კავშირი,—დაახლოება.

...ნფერენციამ ამის შესახებ გამოი-
...რეზოლიუცია, რომელიც ეროვ-
...დემოკრატიული პარტიის მთავარ
...ეტს ავალებს; იქონიოს მოლა-
...ება, რომ დაარსდეს საქართველო-
...სებულ არასოციალისტურ დემო-
...ულ პარტიათა საბჭო.

...ხსენებელმა აღნიშნა, რომ ერ.-დე-
...ტიული პარტიის მესამე კონფერენ-
...მით განსხვავდებოდა წინანდელ კო-
...ნციებისაგან, რომ დელეგატთა შო-
...რ ყოფილა არავითარი განხეთქი-
...და უთანხმოება, რასაც წინადაც
ქონდა ადგილი და ყოველივე საკითხი და
კვირვებით სწყდებოდა, რაც კონფერენ-
ციის საქმიანობას აშკარავებდა.

საზოგადოება, რომელიც 15 ივლისის
მოხსენებას დაესწრო ნასიამოვნები დარ-
ჩენ და ღამის 10 ნახ. საათზე დაიშალენ.

## შენიშვნა.

ვაცხადებ მკითხველი საზოგადოების
საყურადღებოთ, რომ ეროვნული პარ-
ტიის ახალციხელ გაზეთ „მესხეთ ჯავა-
ხეთში" მოთავსებული ფელეტონები, ნ.
ასათიანის ხელის მოწერით,—მე არ მე-
კუთვნის და ხსენებულ გაზეთში მოსა-
თავსებლათ არასოდეს არაფერი გამიგ-
ზვნია.

ნიკ. ასათიანი.

## ცხინვალიდან ჯარის გამოწვევა

მთავრობამ ცხინვალის რაიონში მდგომი
სამხედრო ნაწილები მოხსნა. იმ თავიდანვე
ცხინვალის რაიონში მთავრობის ჯარის
მოსვლის უმთავრესი დანიშნულება იყო
ოსებით დასახლებულ სოფლებში წესრი
გის დამყარება, ბოროტმოქმედ ელემენ-
ტების შეპყრობა და შეიარაღებულ ხალ-
ხის განიარაღება.

ერთი თვე იდგა ცხინვალის რაიონში
სამხედრო ნაწილები, ამ ხნის განმავლო
ბაში მთავრობის ჯარი ერთხელაც არ
შესდგომია თავის ნამდვილ დანიშნულების
განხორციელებას, რადგან ამისთვის სა-
თანადო ბრძანება არ იყო. მთავრობის
ჯარის დგომამ კი ცხინვალის რაიონის
ქართული სოფლები შეავიწროვა, მხო-
ლოდ მთებში იარაღით მსხდომი ოსობა
გააბრაზა.

ქართველმა სოფლებმა და მთელმა
მშრომელმა მასამ განსაკუთრებული ოქ-
მებით ნდობა გამოუცხადა ცხინვალის
რაზმის უფროსს ლენ. ყარალაშვილს და
ქართულ ლეგიონის სარდალს პოლკოვ-
ნიკ ლეო კერესელიძეს. ხალხმა სთხოვა
ზემო დასახელებულ სარდლებს დაემყა-
რებიათ მხარეში წესრიგი, მაგრამ ყარა-
ლაშვილის და კერესელიძის მოქმედება
ამოიწურა გზების გაყვანით, სისუფთავის
დაცვით და რამდენიმე გავარდნილ ყაჩა-
ღების დაჭერით.

ახლა ცხინვალის რაიონში უმთავრესი
ძალები უკვე მოხსნილია, ქართული სო-
ფლები თავზარ დაცემულია, რადგან
ოსები აკლება-აწიოკებით იმუქრებიან,
ხოლო განუხისკენ, ჩაფარუხისკენ და ინა-
ურისკენ ოსებს ვილაც ოს ლენერლის
ბრძანებით ახალი მთავრობა აურჩევიათ.
დღესაც ოსით დასახლებულ სოფლებში
სოფლის სამომრიგებლო საქმის წარმოება
რუსულ ენაზეა, ჯავაში ინტელიგენტები
და ყოფილი ოფიცრები კვლავ ქადაგო-
ბენ, რომ ოსეთი მალე პოლიტიკურ ავ
ტონომიას მიიღებს.

ოსის ხალხი დააბნია და საბედისწერო
გზაზე დააყენა რუსულად აღზრდილმა
პატივის მაძიებელმა ჯავის ინტელიგენ-
ციამ. ბარის ოსები წყევა-კრულვით იხსე
ნიებენ ჯავას.

X.

## ქართული მხატვრობა
### (გამოფენის გამო)

საუკუნოები გავიდა მას შემდეგ რაც
ქართული მხატვრობის განვითარება შეს-
წყდა, გაცივდა მიყრუებულ ნანგრევ კე-
დლებზე სახე ძველ მშვენიერი კეთილ-
შობილური ქართული მხატვრობისა,
ფრესკები, წნულები, დავიწყებას მიეცა
ძვირფასი ქარვა ოქრომკედით, დასურა-
თება წიგნებისა და სხვა; ამნაირად ქარ-
თული ცხოვრება ჰკარგავდა მხატვრულ
თავისებურებას, მხატვრულ შემოქმედე-
ბას, რაც პოლიტიკურად გადამგვარებელ
გარემოებას ხელს უწყობდა, რომ ყოველ
გვარად გადამახინჯებულიყო ქართული
სახე, მაგრამ ეს მძიმე საუკუნოები, ზამ-
თრის თოვლ-ყინვასავით შემოიდნო ქარ-
თულმა ძველმა ძლიერმა ხელოვნებამ.

დღეს საქართველოს ხელოვნებათა
გაზაფხულის ჟამს თვალწინ გვიდგია მშვე-
ნიერება წაუშლელი ძველი ქართული
მხატვრობისა, რაც ურყევი საფუძველი
უნდა იქმნეს ახალი მხატვრობისათვის.
ამის მიხედვით სწარმოებს დეტალური
შესწავლა ძველი ქართული მხატვრობი-
სა, რაც ნამდვილი გზაა ახალი მხატვრო-
ბისათვის. ქუთაისში გამართულ სურათ-
თა გამოფენაზე გაზაფხულია ქართული
მხატვრობის. გაზაფხული ჯერ კიდევ
ნორჩი. სალამი გაზაფხულს, ალამი ფე-
რადების დღესასწაულს!

გ. მესხი

## კითხვები.
### ბა—იას.

ივლისის მკრთალი შუადღე.

სადგური სამეგრელოს ერთ პატარა
ქალაქში.

იქ გნახე.

მაშინ ახლად მყავდა გამოტირებული
ჩემი ახალგაზდური სიყვარულის უკანას-
კნელი, სასიკვდილო სუნთქვა. შავი არ-
შსით შევმოსე სულის მდიდარი სამლო-
ცველო და გრძნობის შმაგი მღე-
ლვარების მაგიერ იქ დავამკვიდრე მხო-
ლოდ მონასტრული იდუმალება.

ასეთი მყუდრო, ნელი ყოფა იყო და-
ყუჩებული სულის უზენაესი სურვილი და
არ ვეძიებდი საგანს კვლავ ვნებათა აშ-
ლის, ადუღებისას...

სიყვარულის აგონიით წვა სასიკვდი-
ლო მახვილის დაცემაზე უფრო საშინე
ლად მეჩვენებოდა.

გაურბოდი განცდათა ამეტყველებას.

უკლესიის უსიტყვო გალავანში ვეძიებ
დი ყველაზედ მივიწყებულ ულოდო სა
მარეს, რადგანაც იქ მეტი სიყრუე და
დუმილი მეჩვენებოდა...

მაშინებდა სასაფლაოზედ ქანდაკებათა
მთელი წყება.

აი ასეთი საფლავისებული ყოფის წუ-
თში შენ გნახე..

ერთი მზერა, ერთი გადმოხედვა და
დაიმსხვრა ჩემი სამშვიდობოს სულიერი
კოშკი.

გავიქეც, შორს წაველ.

ღამით, მარტოობაში შიში ვიგრძენ...

ფიქრი ჩემი: მითხარ, რა გინდა ჩემ-
გან?

*

ცივი ჩრდილოეთი! შორეული მხარე.
მღელვარე ქალაქი, სადაც ნამდვილი
ცხოვრებით მხოლოდ ღამით, შუა ღამით
და განთიადისას იწვიან!

გარყვნილების ძლიერი სახე.

სარდაფი, ღვინო, სიმთვრალე, გარყვ-
ნილება, ჩხუბი, ადმინისტრაცია, ტყვეო-
ბა, დასჯა. აი სახე ჩემი ყოფის შორეუ-
ლობაში.

იქ, იმ მღელვარებაში სუსტად კრთო-
და შენი მორცხვი თვალთა გადმოხედვა
ჩემს მდიდარ მოგონებაში...

თითქოს დავიწყება შეეხო შენს სხე-
ულს.

მხოლოდ თითქოს და

ისევ სამშობლო... კვლავ ის ქალაქი.
ისევ ივლისი და შენ.

აღინთო ჩემში ძლიერად ძველი განცდა
და ვით გახელებული რაინდი საშინელის
სიმკაცრით გკითხე შენ: რად ჩამო-
ხვედი?

*

„შენ"—ასე გითხარ მე.

დავადექით ერთ გზას: ორნივე მოსურ
ნე ვართ ერთად ყოფნისა და ხშირი ყო-
ფნისა და ხშირი [illegible] „შენ"—მეუ-
ბნები. შენ და[illegible] მე
ამას.

მაგრამ მაინც ჯერ შორს ვართ ერთ-
მანეთისაგან. შენს წარსულს მკაცრი სახე
აქვს.

შენ გდარაჯობს საუკუნოებით შექმნი-
ლი ჩვეულება ტრადიცია.

შენ ბავშვი ხარ და მორჩილი ამ კა-
ნონთა უხეში ბრძანებისა.

არ ხარ თამამი.

მე მესმის: რა გინდა შენ!

და მსურს ეს შეგისრულო, მაგრამ მი-
თხარ, მიპასუხე, გეთაყვა, შესძლებ თუ
არა დაამსხვრიო უხეში კანონი, შენი
ბრძანებელი და განცდის სილამაზით შეე-
გებო ახალ სიტყვას, ახალ ცხოვრებას?

მითხარ, ჩემო ბავშვო, შესძლებ თუ
არა?

გ. ლგამიჩავა.

## თეატრი მინიატური.

ეს ორი-სამი კვირაა, რაც ქუთაისში
გაიხსნა ახალი პატარა თეატრი „მინია-
ტორ"-ი. პირველად წარმოდგენებზე ხალ-
ხი ნაკლებად ესწრებოდა; უმეტესობა მას
რაღაც ეჭვის თვალით უყურებდა; მაგ-
რამ ვინც კი ამ თეატრში დადიოდა, ის
თითქმის მუდამ კმაყოფილი რჩებოდა.

დრამატიული პატარ-პატარა პიესები
უმეტეს ნაწილად შინაარსიანი აღმოჩნდა
და არტისტებიც შეგნებულად ასრულებ-
დენ თავიანთ როლებსა. რაც შეეხება მუ
სიკალურ პიესებს, ამის შესახებ უნდა
ვსთქვათ შემდეგი: კარგი ოპერეტები ნა-
კლებად იყო დადგმული; ხალხს კი გან-
საკუთრებით მუსიკა იზიდავს. და ამ გა-
რემოებას დირექციამ უნდა მიაქციოს დი-
დი ყურადღება. სიმართლე მაინც მოით-
ხოვს აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ოპერე-
ტები ძალიან მოეწონა მსმენელებს, მაგა-
ლითად: ბერსალიერები, ივანოვი პავლე
და კაბარე ქუხნაში. ეს პიესები გაიმეო-
რეს კიდეც და ხალხიც ბლომად დაესწრო.

მომღერალთა შორის უნდა დავასახელოთ
ცხაკაის ასული, ბ—ეზეროვი—მეტად
სასიამო ბარიტონია, ბ. მოლჩანოვი—ტე-
ნორი და ეგოროვის ასული. ამ უკანას-
კნელს პატარა ხმა აქვს, მაგრამ ნაზი და
ტკბილი.

ორკესტრი პატარაა, სულ რვა კაცია
უკრავენ მწყობრად და სასიამოვნოდ. დი-
რიჟორობას ბ. კარაკოზიანი, სათავად-აზ-
ნაურო გიმნაზიის კაპელმეისტერი.

დრამატიულ არტისტებ შორის, აღსა-
ნიშნავია რეჟისორი ლიუბომირსკი და
დამასკინას ასული.

თეატრი „მინიატიურ" ამ ბოლო დროს
ბლომად იზიდავს ხალხს. უსურვებთ წარ-
მატებას.

ე. ზ.

## აზერბაიჯანი.

აზერბაიჯან-სომხეთის ნავთის ტრანზიტი.
საქართველომ აზერბაიჯანს აცნობა, რომ
თავის ტერიტორიაზე არ გაატარებს აზერ
ბაიჯან-სომხეთის შორის დადებულ ხელ-
შეკრულების თანახმად სანავთო ტრან-
ზიტს, თუ სომხეთი ნავთის ცისტერნებში
საზღვარზევე არ გამოაბრუნებს ცარიელ
ცისტერნებს უკანვე.

საქართველოს ნავთ-სადენი მილების შესა-
ხებ. აზერბაიჯანის გზათა სამინისტრომ
თხოვნით მიმართა საქართველოს გზათა
სამინისტროს, რათა მან დროზე გასწმინ-
დოს საქართველოს ნავთსადენი მილები
და აწარმოოს ამ მილების გასაწმენდი
ხარჯის ანგარიში ცალკე, ვინაიდან ჯერ
გადაწყვეტილი არ არის თუ ვის დაეკის-
რება ეს ხარჯები გადასახდელათ. გარდა
ამისა სამინისტრომ სთხოვა, რომ ყურად-
ღება მიექცეს ნატანებ-ბათუმის შორის
მილებს, რომ იქ ნავთის გადაქაჩვა არ
შეფერხდეს.

ოსმალეთის გაღრენულებათა უარყოფა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების შემდეგ აზერბაიჯანის მთავრობამ დაადგინა: აზერბაიჯანის მთავრობა მოვალეთ არა სცნობს იავს გადაიხადოს ოსმალეთის ვალები მათი ბაქოში ყოფნის დროს აღებული.

ბაქოს ბირჟა მკათათვის 14. კერენკის 1000 მან 1450 მან., 250 მ, 1300 მ., ნიკოლოზის 500 მან. ახალი 1800 მან., ძველი 500 მ. 1800 მან., 325 მ.

## სომხეთი.

### ბერძენი პროფესორი ანდრესისი სომხების შესახებ.

ნიუიორკის გაზეთი „კრისჩენ-სეიმს მონიტორი"-ში მოთავსებულია ნიუიორკის ბერძენ პროფესორ ანდრესტისის წერილები, რომელიც სხვათა შორის სწერს:

„საბერძნეთმა არამც თუ უარი განაცხადა ოსმალეთის ბერძნულ ოლქებზე არამედ სურვილიც კი გამოსთქვა, რომ შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები, ტრაპიზონი და სინოპი გადასცემოდა სომხეთის სახელმწიფოსო, მიუხედავათ იმისა რომ ამ ოლქების მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ბერძნები არიან და არა სომხები. საბერძნეთი ფაქტიურ თავის მოკავშირედ სთვლის სერბიას და სომხეთს, ხოლო ახლოს შეთანხმებულად რუმინიას.

**საღამო სომეხ-ობოლთა სასარგებლოდ.**

კონსტანტინოპოლის გაზეთ „ჩაკატა მორტ"-ი იუწყება, რომ მაისში, რომში გაიმართა სომეხთა ობლების სასარგებლოდ საღამო, რომელსაც ხელმძღვანელობდა დედა პრინცესა იოლანტა. სტუმართა შორის იყო გაბრიელ დ'ანუნციო. მწერალმა ლუცატმა ამ საღამოს შესახებ წერილი დასწერა სათაურით: „დღეგრძელობდეს სომხეთი".

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

**მობილიზაცია ინგლისში.**

ლონდონიდან თბილისში მოკავშირეებს ატყობინებენ, რომ სათადარიგოთა მობილიზაცია ინგლისში კარგად მიმდინარეობს. საერთო რიცხვი რომ ვიანგარიშოთ 4.000-დან კვირაში 5000 ამდე კაცი ცხადდება.

**ავღანეთი.**

ამავე წყაროებით ინდოეთის მეფის მოადგილემ ავღანთ დელეგატები თავისთან 22 მკათათვის 22-ისთვის ინდოეთში იწვევს.

**მწვანე გვარდია სოჭაში.**

რკინის გზის გაფუჭების გამო თუაფსედან 4 ვერსის მოშორებით 8 მკათათვეს დარჩა მოხალისეთა ერთი სამხედრო მატარებელი. ღამე მატარებელს თავს დაესხნენ მწვანე გვარდიელები და სროლა აუტეხეს. მოუკლეს ერთი ოფიცერი, დაუჭირეს 16 კაცი.

**ასტრახანის გარემოცვა.**

ინგლისელების ცნობით ასტრახანი ყოველის მხრივ გარშემორტყმულია ანტიბოლშევიკურ ძალებით. გადაწყვეტილია ასტრახანი დაამშიონ და ისე აიღონ, რათა ნაკლები ხალხი დაიღუპოს.

**იტალიის ვალი.**

იტალიის ვალი, რომელიც მხოლოდ ამერიკისგან აქვს აღებული უდრის 6 მილიარდ დოლარს.

**ამირბარი სეიმური ეკატერინოდარში.**

ეკატერინოდარში გაემგზავრა ნოვოროსიისკიდან საზღვაო ძალების უფროსი ადმოსავლეთში ამირბარი სეიმური. მას დავალებული აქვს დენიკინთან დიდი მნიშვნელოვანი საკითხებზე მოილაპარაკოს.

## ფრანგული პრესა

### გერმანიის ახალი ნოტები.

ბარონ ფონ-ლესნერმა კლემანსოს ნოტა გადასცა საზავო ხელშეკრულების შესახებ. პირველი შეეხება საფრანგეთ-ბელგიის კომისიის მოწვევას, რომელმაც ზოგიერთი ტერიტორიული საკითხები უნდა განიხილოს: მეორე შეეხება საარის ოლქს, მახემრეინის პროვინციის დაპყრობას და ექსპლოატაციას. ლესნერმა აგრეთვე აუწყა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მრჩეველი კლარვე გერმანიის მთავრობის წარმომადგენლად დაინიშნა კელნში.

## ლეჩხუმის ერობა და სამართალი.

როდესაც ლეჩხუმში ერობის შემოღებაზე საკითხი ისმებოდა, მცხოვრებნი აღტაცებაში მოდიოდა და ფიქრობდა, რომ ერობა მოსპობს ეხლანდელს ყოველგვარ უსწორ-მასწორობას და დაამყარებს საერთო სამართლიანობას; ერობა თანასწორად იზრუნებს ადგილობრივ მკვიდრთათვის და მათ მოჰფენს ერთნაირად თავის მუშაობის განმანათლებელ სხივებსო. მაგრამ იმედები არ გამართლდა და ხალხის გულიც ერობაზე გრილდება. ცაგერში ერობა პარტიულ ორგანიზაციას უფრო წააგავს, ვიდრე საერთო დაწესებულებას, რადგანაც სამსახურში ღებულობენ მხოლოდ სოციალ.-დემ. და საქმეებსაც აწარმოებენ სოც.-დემოკრატიულ პარტიის თვალსაზრით. მართალია, არის რამოდენიმე კაცი არა სოციალ-დემოკრატი, მაგრამ რიცხვით სულ მცირე და იხინიც ისეთ უმნიშვნელო ადგილებზე, რომლებსაც რუსები „პოლმეტაილოს" უწოდებენ. თვალსაჩინო ადგილებისთვის რომ თანამოაზრეები ადგილობრივათ ვეღარ უშოვნიათ, ქუთაისიდან და სხვა მხარეებიდან მიჰყავთ და დღესაც ელოდებიან მიუხედავათ იმისა, რომ გამოსადეგი ძალები ადგილობრივათ საკმაოდ მოიპოვებიან; რომლების თხოვნას ყურადღებას არავინ აქცევს მხოლოდ იმისთვის, რომ მთხოვნელები სოც.-დ. არა ხარ, მაშინვე იმას გეტყვიან, რომ ჩვენ აქიმი გვინდაო; აქიმმა რომ ითხოვოს, ინჟინერი სპეციალისტი გვინდაო და ამნაირად გაგისტუმრებენ. მთელს ამოდენა დაწესებულებაში არის თვალსაჩინო ადგილზე სხვა პარ. მხოლოდ ერთი, ეროვნული-დემოკრატი, და ისიც იმისთვის, რომ მისი მოვალეობის შემსრულებელი სოციალ-დემოკრატი სანთლით ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. ეს პირობები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა გამგეობის საქმეებისათვის და ამიტომ იძულებული შექმნილა ერობის თხოვნაზე დათანხმებულიყო. ამას რომ თავი დავანებოთ, ლეჩხუმის მაზრის ერობაში ბევრი ბოროტება ხდება და ყურადღებას კი არავინ აქცევს.

აქ მოიპოვებიან ისეთი პირები რომელნიც ქრთამებსაც კი ღებულობენ მხოლოდ იმისათვის რომ რომელიმე ადგილის მაძებნელს ადგილს ჰპირდებიან.

არის ბევრი სხვა ბოროტებაც, მაგრამ ჯერ ჩვენ არ გვინდა გამოვამჟღავნოთ, რასაც თავის დროზე პრესის საშუალებით გავაცნობთ ფართე საზოგადოებას.

ერობა ისეთი დაწესებულებაა, რომ მან უნდა თანაგრძნობა მოიპოვოს ხალხის თვალში, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი არსებობა ყოვლად შეუძლებელია.

დეზი.

## განაპირა ორპირის კუჩის სამკითხველო.

ამ სამი თვის წინათ ადგილობრივი საზოგადოების წევრებმა გახსნეს სამკითხველო. წესი სამკითხველოს გახსნისა არა პარტიულ პლატფორმაზე იყო აგებული, ამ ნიადაგზედაც მოხდა სამკითხველოს გამგეობის არჩევნები, სადაც არჩეულ იყვნენ ლ. ა. ჩიმაკაძე და სხვები და სხვები. საუბედუროთ ამ ამორჩეულებმა ვერ გაამართლეს მაზე დამყარებული იმედები და გამოდგენ სრულიად ამ საქმისათვის მოუმზადებელი პირები. მათ ვერ შესძლეს ისეთი პოლიტიკა ეწარმოებიათ სამკითხველოში, რომ მათი „მე" სთან სხვისი „მე"ც დაცულიყო და არ შეურაცყოფილიყო. თავიდანვე ისე მიყვეს ხელი სამკითხველოს მართვას რომ ფარდა აუხდელ მალულ ბოლშევიკურ კლუბათ აქციეს ის.

ეს ყოველივე მოხდა იმ საქმისათვის არა მცოდნე გაბოლშევიკებულ მეთუნუქე ნოქრების ზეგავლენით და ვაისირცხვილს იმ მასწავლებელ—სტუდენტგამგეობის წევრებისას, რომლებიც ამ ნიადაგზე მათთან ერთათ მუშაობენ.

სამკითხველოს ირგვლივ ისეთი ატმოსფერაა შექმნილი ამ ვაჟბატონებისაგან რომ მისი აღწერა კალმით შეუძლებელია.

მაგრამ ადგილობრივმა საზოგადოებამ დროზე გაიგო ეს და ერთი კაციც არ შედის აქ არსებულ სამკითხველოში. ეს ნიშანია პროტესტისა. არ არის წესიერი რომ სამკითხველო პარტიულ ბიუროდ გარდაიქმნას.

გ. შკადელა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

სადგურ რიონზე არსებობს პატარა სავაჭრო შესაფარი, რომელიც დიდი ხანია, „ცნობილია რიონის სადგურის მოსამსახურეების და ჯარის კაცებისაგან საჭიროთ. ეს სავაჭრო დამითმეს მე, როგორც შტატს გარეთ დარჩენილს მოსამსახურეს, მეც ვცდილობდი რიგიანათ გამეძღოლოდი საქმეს. მაგრამ ზოგიერთები ამიმხედრდენ და მათ შორის, რომელნიც ვერ შერიგებიან ზემო რიონზე ყოფნას, თავი ისახელა სილიბისტრო მახარაძემ თავის შეუწყნარებელი მოქმედებით. მან დაუწყო ჯერ ჩურჩული სადგურის მოსამსახურეებს, რომ მე ჩემი სავაჭროთი სრულებით საჭირო არ ვარ სადგურზე და პირიქით, ვითომც დიდი მავნებელი ვიყო. ბოლოს, რომ [illegible] ჩურჩულით, [illegible] სადგურის უფროსის კაბინეტში, (როგორც გადმომცეს კოსტა კოკელაძემ, ნიკოლოზ ჯიბრაძემ, დავით ჯიბლაძემ და სხვებმა) „ჯაშუში".

ამ ცრუობას მე ავხსნი მხოლოდ იმით, რომ სილიბისტრო მახარაძესაც აქვს [illegible] ბული იჯარით რიონის სადგურზე [illegible] ველი კლასის „ბუფეტი". იქნება, ბატონო სილიბისტრო, მე ხელს უშლი, თქვენს პირად გამდიდრებას, მაგრამ ეს თქვენ არავითარ უფლებას არ გაძლევთ მიწოდოთ მე „ჯაშუში".

ამისთვის მე გიწვევთ თქვენ სამედიატორო სასამართლოში. ჩემს მხრივ მედიატორებათ ვასახელებ აპოლონ [illegible] ნაძეს და კოსტა კოკელაძეს. ვიდის [illegible] ძლევთ სამ დღეს, დღეიდან ამის გამოქვეყნებისა. თუ ამ დროის განმავლობაში არ გამისახელებიათ, ბატონო სილიბისტრო, თქვენი მხრივაც მედიატორს, მე იძულებული გავხდები საქმე გადავცე ტანო სასამართლოში.

ნიკიფორე ბერიძე.

### გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" ფონდისათვის.

მძიმე პირობებში უხდება რედაქციას გაზეთის გამოცემა.

სიძვირის გამო გაზეთის დეფიციტი ყოველდღიურად იზრდება.

საჭიროა თანამგრძნობთა დახმარება შემოწირულების შეგროვების სახით.

მოუწოდებთ მკითხველებს და პარტიის წევრებთ, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში შეაგროვონ შემოწირულება ჩვენი გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ.

პარტიულ ახალგაზრდებს ვსთხოვთ გამართონ პროვინციებში საღამო-წარმოდგენები და შემოსავალი გამოგზავნონ გაზეთის სასარგებლოთ.

პარტიის ყველა წევრი ვალდებულია დაეხმაროს თავის ინტერესების დამცველ ორგანოს.

მოქალაქენო, გაიღეთ თქვენი წვლილი, დაეხმარეთ თქვენს გაზეთს.

გააძლიერეთ გაზეთის ფონდი.

გაზ. „ჩვენი ქვეყანას" რედაქცია.

**რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.**

## მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

**ქუთაისში მოდის.**

| | | |
|---|---|---|
| **თბილისიდან.** | | |
| პირდაპირი | № 3 | — 5 ს. და 50 წ. დილით |
| ჩქარი | № 1 | — 7 — 80 — — |
| საფოსტო | № 3 | — 7 ს. — 40 — სადამ. |
| სამგზავრო | № 15 | -1 ს. — 50 — ღამით |
| **ბათომიდან.** | | |
| პირდაპირი | № 72 | — 1 ს. და 30 წ. დღით |
| სამგზავრო | № 6 | — 5 — — — დილ. |
| ჩქარი | № 2 | — 1 — — 50 წ. ღამ. |
| **ფოთიდან.** | | |
| პირდაპირი | № 36 | — 8 ს. და 28 წ. დილ. |
| საფოსტო | № 4 | — 12 ს. — 55 წ. — |
| **ტყიბულიდან.** | | |
| სამგზავრო | № 81 | — 10 ს. და 20 წ. დილ. |
| საფოსტო | № 3 | — 5 ს. — 30 წ. სად. |

**ქუთაისიდან გადის.**

| | | |
|---|---|---|
| **თბილისისაკენ.** | | |
| პირდაპირი | № 12 | -11 ს. და 47 წ. სა |
| ჩქარი | № 2 | — 10 ს. და 2 წ. სა |
| საფოსტო | № 4 | — 10 ს. — 10 წ. დ |
| სამგზავრო | № 6 | — 3 ს. — 17 წ. ღ |
| **ბათომისაკენ.** | | |
| პირდაპირი | № 44 | — 4 ს. და 40 წ. დ |
| სამგზავრო | № 5 | 3 ს. — 30 წ. ღ |
| ჩქარი | № 1 | — 6 ს. — — წ. დ |
| **ფოთისაკენ.** | | |
| პირდაპირი | № 35 | — 3 ს. და 25 წ. დ |
| საფოსტო | № 3 | — 5 ს. და 50 წ. დ |
| **ტყიბულისაკენ.** | | |
| საფოსტო | № 4 | — 7 საათზე დილას. |
| სამგზავროს | № 82 | — 4 ს. 4 წ. სადამ |

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.

ქუთაისი, სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა, სახლი ძმ. ბერუჩაშვილებისა.